



ლიტერატურული გაზეტი

ქართული
შეკრებილი

1935 თებერვლის 12

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ექვსდღიური ორგანო

შპანი 50 კაპ. № 7 (99)

აკაკის

ალ. აბაშელი

ამ ზენი სახე ანათებს ისე,
როგორც ლაშვარაძე მთვარის კოცვს ვა,
როგორც მყინვარი, წასული ზისიკან,
და ცა-ფირაუზა ზენი ოცნება.

ჩონგუსს რომ ზენი ცრემლი დასცვივა,
ზუში იელვებს თვალეზში წამსვა,
ღვას საპარტველო ოკროს თასივით
ზენი ლეძსებია ნიშტარით სასვა.

გული აიტანს ყოველ სიმძიმეს,
თუ პოეზიის ზეაღო კარნი,
თუ ლეძსში ცრემლი ისე ციმციმებს,
როგორც ყვავილში ჩამდგარი ცვარი;

თუ გულში ჩუმაღ სხივები სხადან,
როგორც ბარტყები ჩიტის ბუდეში,
თუ ხედავ მყინვარს უმუღო მხედარს,
მცურავს არაბვის მშუხარ ზბეში.

იმ დროს სხვა იყო მყვინის ნაღვილი
და გულს სხვაგვარი სახმილი სწვამდა.
ზენი იცო: ჩვენთან როცა წახვილი,
სამოგვლო მავარ სისხლიან სვამთა.

იყო გოდება სიცოცხლის წესად,
ისმოდა გმინვა ჩანგაულ მქარელთა
და ქარს მოჰქონდა ნესტანის კვენსა
ქაჯეთის ცინის ღვუბალთან ერთად.

ცაცხლმა ის ჰამი უკვი ალაგმა,
და მძელი მყვინის სასტიკი ძვენი
დრომ თან წაიღო, როგორც არაბგმა
ბაში-აქუის დასხვავალი ცხენი.

და დღეს რომ ჩონგუსს ცრემლი დასცვივა,
ზუში იელვებს თვალეზში წამსვა,
ღვას საპარტველო ოკროს თასივით
ზენი ლეძსებია ნიშტარით სასვა.



ბავში უკითხავს აკაკის წიგნის ლექსს

ნახატი ირინა შტენბერგისა

კლასიკოსი

კლასიკოსი ტიპური მოვლენა განსაზღვრული კლასისათვის, განსაზღვრულ ეპოქისათვის. აკაკი კლასიკოსია ამ სიტყვის მთელი გრანდიოზული მნიშვნელობით, აკაკი ეპოქის ღელვა, და მისი თანამედროვეობის სისხლის მიმოქცევა პირდაპირ შეეფარდება მისივე ლექსების მაჯისცემას. აკაკიმ უმაღლესი ხელოვნებით შეკრიბა და აამეტყველა ეპოქის განწყობილებანი და გადატეხა თავის პრიზმაში.

ჩვენი მარქსისტული ისტორიოგრაფიის, კერძოდ ლიტერატურის ისტორიის დიდ ჩამორჩენის შესახებ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ დღემდე საბოლოოდ მეცნიერულად არ არის შესწავლილი აკაკის როლი, ადგილი და მემკვიდრეობა. აკაკი ელის თავის მკვლევარებს. ჯერ კიდევ რამდენი ყოფილა აკაკის გამოუქვეყნებელი ნაწარმოები, ჯერ კიდევ ბევრისთვის სადისკუსიოა მისი სოციალური ბუნება. ბევრი შეცდომაში შეყავს იმ გარემოებას, რომ აკაკი ფეოდალური წრისა და ხშირად ფეოდალური იდეების აღამიანი იყო.

მართლაც, ის ნახტომები ცალკე რეტორიკულად მოტივებიდან რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებამდე, რომელიც მას ახასიათებდა, ბევრს აფიქრებს. აქ მართლაც ბევრია გამოსარკვევი და შესასწავლი.

მაგრამ ერთი კი უნდა ვიცოდეთ: ჰუმანიტეტიკონკრეტულია და ყოველთვის ერთნაირად არ შეიძლება შეფასდეს ხოლმე წინააღმდეგობანი, მერყეობა და ქანაობა.

აკაკის წინააღმდეგობანი პლიუსის ნიშნით ვითარდებიან. მიუხედავად იმისა, რომ ცალკე აღებული შეიძლება მისი ესა თუ ის ნაწარმოები უფრო არარევოლუციური, ვიდრე რომელიმე არამერყევი თავდაქერილი, ჭკუიანი და წინააღმდეგობას მოკლებული ფეოდალური ლიბერალისა, მაგრამ საერთო ჯამში იგი მაინც უფრო პროგრესულია, ვინც იგივე დონეზე შემოყრილი, თავდაქერილი ფეოდალი. ხომ იცის მსოფლიო ლიტერატურის ისტორიამ შინესთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი, შინესი, რომელიც მარქსის მეგობრობიდან ბონაპარტიზმამდე მიდიოდა ხოლმე და სწორედ ამ თავისი მერყეობისას მასში მაინც იყო ის არამერყევი, ის მთავარი, ის მისასაღმებელი, რაიც წვირილ ბურჟუაზიის რადიკალიზაციის მომასწავებელია.

აკაკი აღარ იყო შაბლონური პატრიოტი, მისი პატრიოტიზმის საზღვრები ხშირად უახლოვდებოდა ეროვნულ რევოლუციურ-გამანთავისუფლებელ ბრძოლას, მას, თავისი ცხოვრების ნახევარი სასტუმროებას და მოგზაურობაში გაუბურებია. ეს ბიოგრაფიული შტრიხი მწერლის

ახალი ტიპის ერთერთი დეტალი იყო. რადიკალიზაციის წვირილი ბურჟუაზიის განწყობილებისადმი დანათესავების გზაზე შემდგარი საშუალო აზნაურობა ხშირად წვირილბურჟუაზიულ რევოლუციონერთა მოწინავე თაობას იძლეოდა. ნეკრასოვი ამის სეუეტესესა ნიმუშია.

აკაკი ხელოვანია იმიტომ, რომ უკეთ იბრძვის ამ საშუალებით. იგი ეპოქალური ყოველდღიურობის დიდი პოეტიკა. მაგრამ არა მარტო ამიტომ ვაფასებთ ჩვენ მას და არა მარტო აქ უნდა ვისწავლოთ მისი. ის მწეს მხურვალეობით გამთბარი უღრმესი ლირიკში, რომელიც სწვდება აღამიანის სულს, ის ჰუმორი, რომელიც რკინითა და შანთით ანადგურებს მტერს და ღიმილს გვრის მოყვარეს, ის გაშლილი ეპოსი, რომელიც ეპოქების სურათს იძლევა და დღევანდელი სოციალისტური რეალიზმისთვის ერთერთ დასაყრდენს შეიძლება წარმოადგენდეს, ის პათეტიური აქტუალური ლირიკა, რომელიც ჩვენი რევოლუციური რომანტიზმისთვის მშვენიერ ნიმუშებს იძლევა—ყოველივე ეს და მრავალი სხვა მხარეები აკაკის შემოქმედებისა არა თუ მხოლოდ შესწავლის საგანია, არამედ აქტუალური მხატვრული შემოქმედების მასალაცაა.

მე-20 საუკუნე ქართულ ლიტერატურაში მოთენთილი და დაცემული ბურჟუაზიული დეკადენტიზმის მხრივ აკაკის ქუჩური გინებით დაიწყო, ეს იყო შიში რევოლუციური აწმყლის და მომავლისა. ეს იყო შიში ყოველივე საზოგადოებრივობის მიმართ. დღესაც კი, აკაკის შემოქმედების მრავალმხრივობასთან, პროდუქციუ-

ლობასთან და არათანაბარ ხარისხიანობასთან დაკავშირებით ბევრი ცრუმორწმუნეობანი გვაქვს ზოგიერთ ლიტერატურულ წრეებში. ეს იქედან მოდის, საიდანაც პოეზიის საზოგადოებრივი დანიშნულების შეუფასებლობა გვევლინება ხოლმე. აკაკი სახალხო პოეტი იყო მარტო იმიტომ კი არა, რომ ის გასაგებად წერდა (გასაგებად ბევრს უწერია), არამედ იმიტომ, რომ ის საზოგადოებრივი პოეტიკა, მოქალაქე-პოეტი, პოეტი-ტრიბუნი, რომელიც განსაზღვრულ აქტუალურ საკითხების ასახვას მასიური პოეზიის საუკეთესო სერხს მიმართავს—ხელოვანის უბრალოებას. აქტუალურია აკაკი, სხვათა შორის, ისტორიულ ნაწარმოებებშიაც და თუ ხშირად წარსულში იძლევა იგი გმირს, აკაკი, საკუთარი თანამედროვეობის უარყოფით მოვლენებისადმი სადისკუსიო დაპირდაპირებასთან გვაქვს საქმე და არა ამ წარსულით „ოციტ-მიწნობრივ“ ესთეტიკურ დატკობასთან, როგორც, მაგალითად, ზოგიერთთა შემოქმედებაში ხოლმე.

აკაკის აქვს სუსტი სტრიქონები, მაგრამ ისინი სუსტად გვეჩვენებენ სწორედ იმავე აკაკის კლასიკურ ნიმუშების სინათლის შუქზე და ყოველგან, ყოველთვის, ამ სუსტ სტრიქონებშიაც ვგრძობთ ჩვენ დიდი პოეტის და ოსტატის გულსა და ხელს, აქ მისი სისხლის წვეთებია და მისი გონების შუქი.

აკაკის დღევანდელი საქართველოში, ისე როგორც ყოველგვარი გახსენება აკაკის შესახებ—სიხარულისა, პოეზიისა და ბრძოლის დღეებია.

პლატონ ქიქოძე




იუბილესათვის მზადება ქუთაისში

იუბილესათვის ემზადებოდა მთელი ქუთაისი, იწერებოდა უამრავი ადრესები, იკრავდნენ ახალ კაბებს, ქულაჯებსა და ჩოხებს...

„ხეები სულ გადაკაფეს რახაც მჭონდა მწვანე ფერი, ჯაფის ბუჩქებს ალარ შერჩა არც ფოთალი, აღარც ღერი... ჯოხებს თლიან... ქულებს ქსოვენ გამაღებით წნავენ ლირებს... დღესასწაულს აპირებენ

მთელი ქვეყნის გასაკვირებს... ამ მიზნით და ამნიარად ქუთაისი იძვრის, ღელავს... მაგრამ ვნახეთ მგონისათვის რძეს ვინ რამდენს მოიწველავს“.

„აკაკი“—საიუბილეო გამოცემა 2. 1908 წელი.



აკაკი ქუთაისში

კარიკატურის წარწერაში აღწერილია ქუთაისში აკაკის საზეიმო შეხვედრა. მგონის გამოჩენის ადრესთა მკურნალები:

„მატულობს ღელვა გრძნობათა იკარგვის ბრძენთა ბრძენობა და შეხეთ, ხალხმა უტყრად ისურვა მგონის ცხენობა,

გამოსნეს ბედაურები თვითონ გასწიეს ღვედები, ატრემლდნენ ამის მნახველნი ქალწულები და ღვედები“.

„ეშმაკი“—1908 წ. გამოცემა 3.

აკაკის ღვაწი

მართავს რუსთაველის საჯარო სამეცნიერო ხელობის ინსტიტუტი და რო სხდომას სან. უნივერსიტეტის ლიტერატურული 20 თებერვალს საღამოს 7 საათზე. სხდომა მიძღვნილია აკაკი წერეთლის დაბადების 95 წლისა და გარდაცვალების 20 წლის თავის დღი.

სხდომაზე მოსმენილი იქნება შემდეგი მოხსენებები:

- 1. მიხეილ წანდუშვილი აკაკის ლირიკა და პოეტიკა.
2. ვლადიმერ ასათიანი აკაკი, როგორც ბელეტრისტი და დრამატურგი.
3. ვახტანგ კობახიძე აკაკი და ხალხური შემოქმედება.
4. მამია დუღუბაძე აკაკი გამოუქვეყნებელი ნაწერების მიხედვით.
5. ვარლამ თაფურია აკაკი და ქართული სალიტერატურო ენა.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო „სიტყვა და საქმე“ „სიტყვა და საქმის“ მორიგი ნომერი, რომელიც მიძღვნილია აკაკის საიუბილეო ღვედებისადმი. გაზეთში მოთავსებულია მოგონებები აკაკიზე შ. დადიანის, დ. თ. მაშვილის, ტრ. ჯაფარიძის, დ. ჩიანელის და ი. ხარაღლიძის. წერილები: მამია დუღუბაძის „პოეტიკა და თვითმკვრობელობა“, გ. ჯიბლაძის „თერგდალეული პოეტიკა“, პ. ბახტურაძის „პატრიოტიზმის ალამდარი“. გაზეთში დაბეჭდილია აკაკის გამოუქვეყნებელი ორი ლექსი და ნაწყვეტები „ჩემი თავდასაგავლიდან“. გაზეთში ბევრი ილუსტრაციებია.

„კომუნისტი“, „მუშა“ და „ახალგაზრდა კომუნისტი“, 12 თებერვლის ნომერში სპეციალურ გვერდებს მიუძღვნიან აკაკის შემოქმედებას.

რაიონული გაზეთის „ჭიათურის მადაროელის“ 7 თებერვლის ნომერში 2 გვერდი მიძღვნილია აკაკის ხსოვნისადმი. გაზეთში მოთავსებულია წერილები აკაკის შემოქმედებაზე. ლექსები მიძღვნილი აკაკისადმი და ილუსტრაციები აკაკის ცხოვრებიდან. ყველაზე უფრო ღირს მის ნიშნავია აკაკის გამოუქვეყნებელი ლექსი, რომელსაც ჩვენს გაზეთში ვათავსებთ.

მწერალთა სასახლეში საქართველო 13 თებერვალს გაიმართება აკაკის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. შესავალი სიტყვა: „აკაკი და თანამედროვეობა“ — შ. ტორთაძისა. სიტყვებითა და მოგონებებით გამოვლენ საბჭოთა მწერლები, პოეტები წაიკითხვენ აკაკისადმი მიძღვნილ ლექსებს. დრამის მსახიობები წაიკითხვენ აკაკის ნაწარმოებებს. მუსიკალურ განყოფილებაში შესრულდება იქნება რომანსები და არიები აკაკის ნაწარმოებთა მიხედვით. ნაჩვენები იქნება კინო-ქრონიკა: „აკაკის მოგზაურობა ლენინში“. საღამოზე შესვლა კავშირის წევრთათვის თავისუფალია. დანარჩენთათვის მხოლოდ მოსაწყვეტი ბარათებით.

მკითხველთა საყურადღებოდ

ჩვენი გაზეთის შემდგომი ნომერი გამოვა 20 თებერვალს

მთ. რუმ. № 5-50.



ნაადრევი სიზმარი

აკაკის ულოცავენ ვარდებს, ყვავილებს. ჩოხა-ქულაჯებში გამოწყობილი ორატორები ერთიმეორეს ცვლიან. მგონის უტყერის და თვალცრემლიანი მიმართავს კრებულს:

„პატიოსნებო, ყრმა ბატონებო, ძვირფასო ქალწულ ქალბატონებო! არა ვარ ღირსი ესოდენ ძღვენის ეგ საჩუქარი სხვას უფრო შევინ... მე მესმის ფასი ტოტების მწვანის, საგაზაფხულო გრძნობის მომყვანის, მე მატობს თქვენი ტურფა გალობა, მაგრამ მაქმარეთ, მიყავთ წყალობა!!! მეყოფა მწვანე რაც მომილოცეთ, ახლა გთხოვთ იმის შეძლება მომცეთ, რომ აგი ექვილი-თამასუქები, არ მქონდეს მუდამ შემაწუხები“.

„აკაკი“—საიუბილეო სურათებიანი ალმანახი გამოც. 1. 1908 წ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. გარდა ზემოაღნიშნულისა ლიტურგიების ხელმძღვანელთა სემინარზე ალი არსენი შვილის მიერ წაკითხულ იქნება მოხსენება „აკაკი წერეთლის შემოქმედება“.

18 თებერვალს გაიმართება აკაკის ხსოვნისადმი ბის კლუბი მიძღვნილი დიდი მხატვრული საღამო. თვითმკვრელ წერილებში წაკითხულ იქნება მოხსენება აკაკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ასეთსავე თემაზე მზადდება მხატვრულად გაფორმებული გამოფენა.

11-დან 16 თებერვლამდე გორიშვილის სახ. მიმავრებულ წარმოება-დაკლუბი მხატვრულტექნიკური ჩატარებულ იქნება საუბრები აკაკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. 16 თებერვალს კი კლუბში გაიმართება დიდი საღამო, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ მწერლები და მსახიობები.



აკაკი იუბილეს შემდგომ

იუბილეზე დააფასა სამშობლომ „მგონის შაქარა“, მიართვეს მრავალი ძღვენი და შეამკეს „მამაშვილური გრძნობებით“...

„გამოთხოვია, წავიდა, მიჩქარების შინასა, მაგრამ ნუ იტყვიო? თურმე ის მოკლებულია ბინასა... ხან ერთთან მივა, ხან სხვასთან მუდამ დღე, მუდამ ღამესა. და დანარჩენაც აქ უნდა თუ გული გვერის რამესა“. და მართლაც მგონის არ მქონდეს თავისა შესაფარები?! მუდამ სხვის ეზოს მიადგეს და უკაუნოს კარები?!

შეიბრადა მგონის წერა-კითხვის საზოგადოება და მონაძღვენი ნივთებს ჩამოართმევს შეხანახავად:

„უთხრეს მგონის: შენ მაინც ვერ პოვს დასაწყობსაო და ჩვენ წავიღებთ ამ ნივთებს დაკარგვას ასე ჯობსაო. შემონაწირავ ფულსხაც ფონდებში ჩაიწერავთო და თუ მოვალდა მოვალე, რა შევქვას ავიწერავსო“. მგონის კი უპასუხებს... წაიღეთ ეს ძღვენი, დროზედ გამაცალეთ „მე ტკიბილი სიტყვა მეყოფა და ეროვნული გრძნობაო“... „აკაკი“—საიუბილეო ალმანახი გამოც. 2. 1908 წ.

ქართული პოეზიის საღამო მოსკოვში

ქართული პოეზიის საღამო მოსკოვში ჩატარდა დიდის წარმატებით. საღამო გახსნა შჩერბაკოვმა, რომელმაც მოკლედ აღნიშნა ქართული პოეზიის მიღწევები. შემდეგ მოხსენებით ქართული თანამედროვე პოეზიის შესახებ გამოვიდა დ. დემეტრაძე. ლექსები წაიკითხეს: პ. იაშვილმა, ს. ეულმა, ტ. ტაბიძემ, ი. გრიშაშვილმა, ა. მამაშვილმა, ს. ჩიქოვანმა, ვ. გაფრინდელმა, ქ. კალაძემ და ი. აბაშიძემ. თარგმანები წაიკითხეს პასტერნაკმა, ტიხონოვმა. მცირე, სამხატვრო და ვახტანგოვის მსახიობებმა.

საღამოს დაესწრნენ საქავშირო საბჭოთა ყრილობის დელეგატები: ფილიპე მახარაძე, გერმანე მგალობლიშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიაძე, თენგიზ უდენტი. საღამოს დასასრულს მწერალთა სასახლეში მოეწყო ქართულ მწერლების რუს მწერლებთან შეხვედრა.

მოსკოვის „ლიტგაზეთმა“ ქართულ მწერლობას მიუძღვნა სპეციალური გვერდი.

ქართველი პოეტები გაემგზავრნენ ლენინგრადში, სადაც გაიმართება ქართულ მწერლობისადმი მიძღვნილი საღამო.

რედაქტორი: პლატონ შიძომი

რედაქციის მდივანი: ნიკოლოზ ჩაჩავა

სარედაქციო კოლეგიის წევრები: იოსებ გრიშაშვილი, შალვა დადიანი, დავით დემეტრაძე, პაოლო იაშვილი, ალიო მამაშვილი, ნიკოლოზ მიწიშვილი, ბესო ჟღენტი, პლატონ ქიქოძე, სიმონ ჩიქოვანი და პანტელეიმონ ჩხიკვაძე.

გამომცემელი: „ლიტგაზეთის“ გამომცემლობა. რედაქცია და გამომცემლობა: —ჩაჩავის ქ. № 13. ტელ. 3-47-10.

იშვითი სილამაზისა და ბრვე აგებუ-

ლობის იყო დიდი აკაკი.

ქუჩაში თუ სხვაგან—ყველას ყურად-

ქალარა აკაკი დათვლილ მთასავით

ისეთი გულიანი სიცილი იცოდა, რომ

გორის „ქართველ ქალთა საზოგადო-

მეორე დღეს „ქართველ ქალთა საზო-

კრების თავმჯდომარე მანდილოსანმა

ნ. ლომაურმა, რომელიც აკაკის გვერ-

აკაკი გადინა—ა მისკენ და

ეს შეუძინეველი არ დარჩათ

ესეველი არ დარჩათ ცნობისმოყვარე

აკაკი ბრძანა: ვატყობ ცუ-



აკაკი კარიკატურაში: „ეშმაკის მართახი“ № 3 1908 წ.

მეორე დღეს მთელი გორის სალაპა-

ქიათურაში ვიყავ მიწვეული ადგი-

ქუთაისიდან ჩამოსულ მწერლებს და

გადავწყვიტეთ ნახვა.

მიუთხბლოვდით თუ არა აკაკის სახლს.

იგი მამაპაპულ ტახტზე გამ-

ერთობ გაეხარდა ჩვენი მისვლა.

— ეპ, მოვხუცი, ყმაწვილე-

— შენ, როგორც ვადმომცეს,

— დიად, ვახლავარ, — მიუშ-

— თანაუგროძობ თქვენს პარ-

იღბლიანი

ნიკოლოზ მიწივილი

რუსთველი, როგორც პიროვნება უიღბ-

პოეტის საფლავი ვერ იტვირთა სამ-

დავით გურამიშვილით უბედური და

საკუთარმა ქვეყანამ ვერც სიციცხლით

და იქვე სტოიკური სენტენცია—

პოეტი დაახლო მან.

„აქა ისმენენ ბესიკისას მღერას ციურ-

ვიდრე არ ამოაშრო ეს განუმეორებე-

ის დაუმშვენებდა გვერდს „ვერცხლის

ტანო ტატანო, გულწამტანო

სუსხავს ქერძადით დაშხამული გოდება:

ნიკოლოზ ბარათაშვილის უიღბლო

ქართული პოეზიის ეს შავი ვარსკვლა-

გაკიმბირებული და ნაკატორღალი

მასში მოწინავე საქართველომ მიიჩნია

საიუბილეო აღმანახის სათაური 1908 წ.

ტობის საზღვრებამდე და რომელიც უდა-

და არც ერთი თბილი სიტყვა არ

საკუთარ სოფელშია ნინოშვილის

ქვეშაბრტყელ, ეგნატეს საფლავზე უნდა

ქვეშაბრტყელ, ეგნატეს საფლავზე უნდა

დრამატიული წუთი აგვირგვინებს

აკაკი იყო გამონაკლისი, ტრიუმფა-

მასში მოწინავე საქართველომ მიიჩნია

პოეტის უნივერსალური ტიპი, გამოა-

— სახელდობრ? — ის, რომ სამშობლოს უარყოფს...

გაებდე და ორიოდ სიტყვით შევეკა-

— ბ-ნო აკაკი, ალბათ მოგესხებოთ,

— აბაპაპა, შენც არ მომიკვდე,

რა თქმა უნდა, აკაკი ცდებოდა ამ

შემთხვევაში: პარტიების თუ ორგანიზა-

აგლო მისი გვარი, მისი ადამიანური სი-

ჩვენი აკაკი.

თითქოს ყველა ჩვენი პოეტის უკუ-

არისტოკრატია, მონათმფლობელი თა-

აკაკის ენა ნიმუშია სისადავისა და

უბრალოებისა, ეს ხალხის ენა და ხალხმა

აკაკი მღერის ხალხში, როგორც ინს-

ტირქტი, სევდისა და სიხარულის დროს.

მე მინახავს აკაკის იუბილე ქუთაისში:

თეთრად შემოსილი ეტლი, თეთრი ცხე-

— „რა დიდი სახელი ჰქონდა მას და

აკაკი შეიქნა ქართველი პოეტის იდე-



ვლ. ასათიანი

მრავალმხრივსა და არაჩვეულებრივად ნყოფიერ მწერალს—აკაკი წერეთელს ლიტერატურული საკითხების შესახებაც ბევრი საყურადღებო აზრი გამოუთქვამს, და ეს ბუნებრივია, რადგან გასული საუკუნის მე-60 წლების მოწინავე თაობას საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ დარგში მოუხდა მთელფაეობა. ამ თაობიდან აკაკი წერეთელი განსაკუთრებულად გამოიყოფა, როგორც „ყოველდღიურობის“ დიდი პოეტი და მთავარი. თითქმის 60 წლის განმავლობაში, აკაკის გერედი არ აუვლია არც ერთ მნიშვნელოვან საზოგადოებრივი მოვლენისათვის; ის თავისებურად ემხურებოდა ყველა საპრობლემურ საკითხს, რის გამოც მისი შემოქმედება არაჩვეულებრივად აქტუალური იყო და ფართო მასებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. მისი თემატიკა ყოველთვის მებრძოლი ხასიათისა იყო. ეს ამოსავალი წერტილია აკაკის შემოქმედების გასარკვევად ისტორიულ პოემებსაც არ შეაქვს დისონანსი აკაკის შემოქმედებაში. ისტორიულ თემებს აკაკი წერეთელი იმდროინდელი ნაციონალისტური მოძრაობის თვალსაზრისით ამუშავებს. ამ მხრივ დამახასიათებელია თუ გინდ „თორნიკე ერისთავის“ წინათქმა, სადაც პოეტი გარკვეულად მიუთითებს დასახულ მიზანზე. ეს აქტუალობა პოეტის სოფლმხველობითაა—განსაზღვრული, რაც განსაკუთრებით, ისტორიული თემების დამუშავებისას, ნაციონალურ რომანტიკაში გამოიხატა. ეს გარემოება აკაკის გარკვეულად ჰქონდა წარმოდგენილი 1897 წელს. აკაკი თავის შემოქმედების შესახებ წერდა: „ადრევეც მოვიხსენიე და ახლაც ვიგეორებ, რომ საზოგადოდ მე ხელოვნებას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი და ისე მიმაჩნდა მწერლობა, როგორც ერთი უბრალო იარაღთაგანი დღიურ ავ-კარგანობის საბრძოლველ-სასამსახურათ... ჩემს დღეში არა მქონია ფიქრათ, რომ მომავლისათვის ვწერო-მეთქი“. როგორც ვხედავთ, აკაკის ეს ესთეტიკური შეხედულება მე-60 წლების რუსეთის „რანონინტელი“ ინტელიგენციის გავლენით ჩამოყალიბდა. რეალიზმისა და უტილიტარისმის პრინციპმა სათანადო გამოხატულება ჰპოვა მის შეხედულებებში. აკაკი თავის მოვლენებში თანაგრძობით იხსენიებს მე-60 წლების დემოკრატიულ-რევოლუციურ მოძრაობას. ჩერნიშევსკის მეთაურობით. „სწორედ ამ დროს გამოვიდა სარატოველი სემინარიელი ჩერნიშევსკი, წერს აკაკი, ჩაუდგა სათავეში უფროს „სოციალდემოკრატებს“ და დობროლი უბოვთან, ანტონოვიჩთან, ნეკრასოვთან და სხვებთან ერთად, დასცა რუსეთის ყიფინა, ამოძრავდა რუსეთი... როგორც თვითონვე შენიშნავს აკაკი პისარევის „ნილილიზმის“ არ მისულა, მაგრამ რევოლუციური „რანონინტელების“ ძირითადი შეხედულებანი მწერლობაზე აკაკიმ უთუოდ თავისებურად მიიღო ნაციონალისტურ ასპექტში. აკაკი ამ იდეურ გავლენას თითქმის უარყოფდა, როდესაც ამტკიცებდა, რომ „მე ჩემი გზა მქონდა არჩეული და მივედილი წყნარათ“, მაგრამ ობიექტურად აკაკის ლიტერატურულ შეხედულებებში რეალიზმისა და უტილიტარისმის გარკვეული გამოხატულება ჰპოვა. თავის სამწერლო პრაქტიკით აკაკიმ როგორც „ყოველდღიურობის“ უდიდესმა მწერალმა, ხომ განმანდგურებელი მახვილი ჩასცა „თავისუფალი მუხის“ წარმომად-

გენლებს. როგორც თავის, ისე სხვა მწერალთა მიმართაც, აკაკი ყოველდღიურ ამოცანების გადაწყვეტას სვამდა ამოცანად.
გ. ერისთავის თხზულებათა წინასიტყვაობაში, 1884 წ. აკაკი მწერლის დანიშნულების შესახებ შემდეგს წერდა: „მწერლობა არის უდიდესი იარაღი, რომელიც სიმართლით უნდა იღვებოდეს და უსუსტრად იხმარებოდეს სამშობლოს საკეთილდღეობ... ნაწერში, როგორც სარკეში, ნათლად უნდა იხსებოდეს მწერლის თანადროება მისი სისწორ-სიმართლით...
მწერალს ნება არა აქვს, რომ ყოველ-დღიურ საერთო მოვლენას რა გინდ წყრილმანიც იყოს, თვალისა არიდოს—რაც უფრო ნიჭიერი პოეტი, უფრო ძლიერად ექვემდებარება ამ ხელოვნობის პირობებს“.
„მე საზოგადოდ მწერალს ისე ვუყურებ, როგორც პედაგოგს, სხვების გამზრდელსა და გამწვრთნელს“. ეს შეხედულება აკაკის „მრავალჯერ გაუფიქრებელი სხვადასხვა დროსა და ფორმაში. ამ აზრს აკაკი განუხრებლად ატარებდა თავის შემოქმედებაში. შემოქმედების სტიმული ცხოვრების ავგარგანობა არის:
„წერა მხოლოდ მაშინ უნდა, წინ რომ გეგმავს იდეალი და გულშიაც გიყვარდეს ვარდი ანუ შხამ-ეგალი“.
თვითონვე მწერლობა პოეტისთვის არ არსებობს. მისი დანიშნულება საზოგადოებრივი აზრის შექმნა და მობილიზაციაა:
„და როცა გულს შეგერკობა მწარე ისრად ეკალ-ნარი, შენც გაუღიწიე ნაღველ-შხამით სწორ-მეტყველი შენი ქნარი“.
„მწერალი“—გამოუყვებ. ლექსი, იხ. „ლიტ. მემკ.“ მ. დუდუჩავა) აკაკი წერეთლის შეხედულებით, პოეტი „გარემოების საყვირი“ უნდა ყოფილიყო თავის შემოქმედებით მწერალს თავისებურად სამსახური უნდა გაეწია. „ხალხის“ გამოფხიზლებისათვის. მაგრამ, „ყოველდღიურობის“ გამოხატვა აკაკის შეხედულებით ნატურალიზმის არ უნდა დასულიყო. აკაკი სამართლიანად ებრძოდა ფოტოგრაფიულ მწერლობას. „ნიჭიერმა მწერალმა სტენოგრაფიულად კი არ უნდა გადაიღოს ყველაფერი რაც გაიგონა, ნახა“—წერდა ის „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში“. „მართალია, ფოტოგრაფია სწორად აღწერს, ერთ ფიორსაც არ დააკლებს, მაგრამ მაგიერად განმაცხოვრებელ სულს ვერ ჩაუდგამს იმას... ხელოვანი მხატვარი კი იმისთანა რამ და მახასიათებელ ნიშანს აიღებს, შეუჩერებს მისთანა წამის გრძობა-გონების გამომოტყველებისას, რომ ის ულს ჩაუდგამს და განახორციელებს ნახატს“.
„ყოველ დღიურობის“ იშვიათი მწერალი, სწორედ ასეთ დამახასიათებელ ხაზებს იჭერდა ცხადია, აკაკის ეს ტენდენცია მისი კლასობრივ

სოფლმხველობით იყო გაყენებული. მისი შემოქმედების ფოკუსი კლასობრივი განსაზღვრულობის გამო, საცხებით სწორად ვერ გამოხატავდა ობიექტურ სინამდვილეს, მაგრამ აკაკი, როგორც ყოველდღიურობის დიდი შემოქმედელი, დემოკრატიზმისაკენ იხრებოდა. ეს ცხადად ჩანს იმ მოთხრობებებში, რომელსაც მისი მწერლობას უყენებდა. ამა თუ იმ მწერლის შეფასებასაც აკაკი სწორედ ამ თვალსაზრისით ახდენდა. ის თანაგრძობით შეხვდა ე. ნინო-შვილის და დ. კლდია შვილის სემწერლო ასპარეზზე გამოსვლას. ცხადია, აკაკი რეალისტ მწერლების კლასობრივ დიდგვარეულობისკენ იხრებოდა, მაგრამ რეალიზმის გამარჯვებას აკაკი მწერლობას ავტორიტეტის ზრდის აუცილებელ პირობად თვლიდა.
აკაკი ებრძოდა „ზოგად“ „მარადიულ“ თემებს. ამ მხრივ დამახასიათებელია აკაკის მოსაზრებები ან. ერისთავის რომანის „მოლიპული გზის“ შესახებ. მწერალ ქალს აკაკი უსაყვედურებდა თემის დაუძლელობას. ამ რომანზე ის ამ მწერლის წინა მოთხრობებს „ლახარემ გადაპარბა“ და „ბატონებმა არ დაიწუნეს“ მაღლა აყენებდა. უნდა ვიფიქროთ, რომ აკაკის უკანასკნელი ხასიათის თემატიკა უფრო მოსწონდა და თემის დაუძლელობა პირობითი მიზეზი იყო ან. ერისთავზე თავდასხმისათვის.
აკაკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მწერლის ენას, აზრის მოკლედ და სხარტად გამოთქმას. ამ მხრივ იგი თვითონ უბადლო იყო. სამართლიანად აღინიშნა მისი სტილის ლაკონიურობა და ექსპრესია. „ზარ მართა აკაკის პროზა, არა მდებ მთელი მისი პოეზია, პუბლიცისტური ფელეტონები და კრიტიკული ხასიათის წერილები იშვიათი სიტყვა მომჭირნეობის და სიტხადის ნიშნად იძლევიან. ამასვე მოითხოვდა აკაკი სხვა მწერლებიდანაც. აკაკიმ სამართლიანად მიუთითა დ. კლდია შვილს გაკანონების ერთ მომენტზე მოთხრობა „მრევლში“. საყურადღებოა, რომ დ. კლდია შვილმა შემდეგში თავი დააღწია ამ ნაკლს. დიდ ყურადღებას აქცევს აკაკი ენის სიმარტივესა და სისადავეს, გადმოცემის ტექნიკურ მხარეს. ამ საკითხთანა უმთავრესად დაკავშირებული აკაკის ფოლკლორული მუშაობა. არც ერთ ქართულ მწერალს არ უმუშავია აკაკის ოდენი ხალხური სიტყვიერების შესაგროვებლად. ის დაყენებით მოუწოდებდა მწერლებს ესწავლათ ენა ხალხისაგან. მართალია, აკაკის ამ მუშაობას სათანადო მეცნიერული ანალიზი აკლდა, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობის გაცხოველებიანათვის და, რაც მთავარია, ეს მუშაობა ნათლს ფენს აკაკის პოზიციას, შეაქვს ერთერთი დამახასიათებელი შტრიხი.
მწერლობის სათანადო სიმალღვე დაყენებისათვის აკაკი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა კრიტიკას. ის მრავალჯერ შენიშნავს კრიტიკის უქონლობას. ჩვენი ქართული მწერლობის ნაკლი ის არის საზოგადოდ, რომ კრიტიკოსები არ გვყავს და კრიტიკა არ გვაქვს. ყველას ის მიანიჩა საყოველთაოდ კარგად, რაც თვითონ პირდაპირ მოწონს და იქნა დებს წუნს, რაც არ ეკაშინიკა“—წერს აკაკი. აკაკი მოითხოვს კრიტიკისაგან შეფასების გარკვეულ კრიტერიუმს. მას თვითონ ეს კრიტერიუმი ცხადად არ ჰქონდა ჩამოყალიბებული, მაგრამ საკმაოდ გრძობდა, რომ იმდროინდელი კრიტიკა პირადი სიმპათია-ანტიპათიებით იხილავდა ამა თუ იმ მწერალს. განსაკუთრებით ებრძვის აკაკი ეგრეთ-წოდებულ ესთეტიკურ კრიტიკას. აკაკი აყენებს საკითხს, რომ კრიტიკოსმა დასავლს, შეაფასოს ეს თუ ის ლიტერატურული მოვლენა და შესაფერი მითითება მისცეს მწერალს წინსვლისათვის „უკრიტიკობამ ისე გაგვიფუჭა გემო ხელოვნების შესახებ, რომ კარგა და ავს ძნელად ვარჩევთ.“—შენიშნავს ის.
საყურადღებოა, რომ აკაკი წერეთელი წარსული ლიტერატურული მემკვიდრეობის შეფასებასაც უსაყვედურებდა. „თვალსაზრისით ახდენდა და ამ საკითხის უაღრეს აქტუალიზაციას აყენებდა: შემთხვევითი არ იყო აკაკის ლექსები „ვეფხისტყაოსნზე“. არსებითად აკაკი „ვეფხისტყაოსნის“ გარჩევისას საქართველოს კუთხვების გავრთიანებისა და ნაციონალური მთლიანობის იდეას ქადაგებდა. „ვეფხისტყაოსნის“ გმირებმა შეერთებული ძალიანთ გამოიხსნეს ნესტან დარეჯანი. აკაკის ნესტან დარეჯანი „დატყვევებული საქართველოს“ სიმბოლოთ ენატებოდა, რომლის განთავისუფლებისაკენ ის საქართველოს სხვადასხვა კუთხეს მოუწოდებდა.
საცხებით სამართლიანად შენიშნავდა ილ. ჭავჭავაძე, რომ აკაკიმ ამით „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკის ვრცელი სარბილი, შეცდომით, ან განგებ ვიწრო ფარგლებში მოამწყვდია“. ეს რომ ასე იყოს მისი თხზულება ბამფლეთი იქნებოდაო“.
„ვეფხისტყაოსნის“ შეფასებაში აკაკი შეცდა. ეს შეცდომა სწორედ მის ნაციონალიზმთანა დაკავშირებული. მაგრამ აქ საყურადღებოა თვითონ ანალიზის მეთოდი, თანადროულობიდან გამოსვლა რაც აკაკისათვის ყველგან დამახასიათებელია.
აკაკი როგორც კრიტიკოსი, საყურადღებო თემაა. აკაკის მრავალი ჯანსაღი შეხედულება აქვს გამოთქმული ლიტერატურულ საკითხებზე. ამ მიმართულებით მისი მუშაობის მეთოდიც მეტად საინტერესოა. ასე რომ ამ მიმართულებითაც საჭიროა დიდი მწერლის შესწავლა.

ქარი ყვავილის ფიფქებს აყრავდა ჩრდილებს—გაზრდილებს ვით ხეიბს ალივის; მე ერთი ვინმე ცოტნის ქვეყნელს მგონის ენაში შევდივარ კრძალვით.
ვგრძნობ მიტოვებულ სარცელის წინ შიშს, რომელსაც მგონის ღმირი შუქს ფენს... და აქაც, როგორც ლექსების წიგნში გამოუცნობი სიჩუმე სუფევს.
საკმელთან თითქოს მგზავრივით შედგა, და ოთახს ისე დაცქერის მინა, როგორც ლექსებთან ბრძოლების შემდეგ მიტოვებულს და დაკეტილ ბინას.
რამ შეიარყია, რამ დამკრა ხელზე, გასაგუდავით ყელზე რა შეხმარ? ვით იმ შევარდნის თანმებე ხეზე ბაში-ჩუკის ტყვიამ რომ შესხნა.
ცაზე ირხევა ტოტები ხმელი, შორს ვარსკლავები უკვე ციმციმებს! მხოლოდ ღექსი—ვით ნათელას ხელი თუ შეეხება აქ გაბმულ სიმებს.
აკაკის ავტოგრაფი უფროს „ნაკადულის“ ბლანკზე
აკაკის დაკარგული ლექსი
ეს ლექსი აღარსად შემხვედრია.
1911-1912 წლებში „ნაკადულის“ რედაქციაში ხშირად დავდიოდი. იქ კორექტორის თანამდებობას ჩემი ნაცნობი მხახობი ქალი ასრულებდა (—წინად მხახობებს „სხვა“ სამსახურიც ჰქონდათ). როგორ მიყვარდა კორექტურულ ფურცლებზე იმისი ხელის მონახში ცოლდა გამუდმებული სჯობა და ხშირად საბავშო ლექსს სწორედ იმითმ ვწერდი, რომ მის კორექტურას ნაცნობი ადამიანის თითები მოხვედებოდა... მაგრამ დავუბრუნდეთ აკაკის დაკარგულ ლექსს.
აკაკის ეს ლექსი „ნაკადულის“ რედაქციაში ვნახე, კორექტურულ ფურცლებში... დაბეჭდილი არ მინახავს. ვინ იცის, იქნება ცენზორში აკრძალა, შინაარსი კი ასეთი იყო:
აკაკი ახალგაზრდებს ურჩევდა სწავლაში ბევრითობას, აუგად იხსენიებდა ლაზარდარობას, ერთმანეთის გაუტანლობას, ძალთა დაქსახვას, უქმად დროს გატარებას და სხვ. ძველი თაობა მიდის, თქვენ მომავალნი ხართ, უნდა შემიდროვდეთ, რომ შემოსულ მტერს გაუმკლავდეთო! ხომ გინახავთ ძალღების სროვა, ერთმანეთს უღრენენ, ეჩხუბებიან, მაგრამ მგელს რომ დაინახავენ, ავიწყდებათ პირადი უსიამოვნება და ყველანი ერთხმად მტერს მიხევიანო!
ამ ლექსის ბოლო ასე თავდებოდა:
„როცა მოვადგეს ჩვენი მტერი და კვლავ დავიწყოს ავობა,—ღმერთო, ძალღებად აქციე ეს ჩვენი ახალთაობა!“
მხოლოდ ეს ერთი ხანა დამახასიათებდა. ნეტა სად აღმოჩნდება მთლიანად!



აკაკი ჭადრაკის თამაშის დროს

ლიტვაჯეთი

ნან.—ს. გაბაშვილისა

აკაკის მთელი მოღვაწეობა, და კერძოდ მისი დრამატურგია, მომწვედელია ისეთ დიდ ისტორიულ თარიღებს შორის, როგორც 1860 და 1905 წელი, ე. ი. ბატონყმობის დასასრულის (მისი „გაუქმების“) და პირველი რევოლუციის შორის მდებარე ეპოქა. როგორც რუსეთში, იმ დროის საქართველოში, რომელიც წარმოადგენდა აგრარულ ქვეყანას ნახევრად-ბატონყმურ-ფეოდალურ ურთიერთობათა ნარჩენებით და ჩასახულ და ზრდაში მყოფ კაპიტალიზმით, მთელი ამ ეპოქის შინაარსისთვის დამახასიათებელია ბრძოლა კაპიტალიზმის „პრუსიულ“ და „ამერიკულ“ განვითარების შორის.

აკაკი, როგორც XIX საუკუნის მეორე ნახევრის მწერლობის ერთერთი უდიდესი წარმომადგენელი, განუწყვეტლივ აქტიურად მონაწილეობდა მთელი თავისი დროის ამ უდიდეს სოციალურ კონფლიქტისადმი და დაუღალავად ეხმარება და უხასუებს მას თავის ლირიკით, პროზით, პუბლიცისტიკითა და დრამატურგით. მისი გამოსავალი წერტილი, წამყვანი მთავარი იდეა ამ საკითხში არის მთლიანი ერის კონცეპცია, რომელიც მისი რწმენით, ყოფილა ისტორიულად და რომელმაც კვალად უნდა შეაქვეყნოს მისი თანამედროვე „ცა-ფირუს, ხმელეთ-ზურჩხტი“ საქართველო. „საქართველო, როგორც ერთი (ნაცია), გამოვიდა მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ბატონყმობის დასრულებამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების განვითარებამ, მიმოსვლის საშუალებათა გავრცელებამ და კაპიტალიზმის აღმოცენებამ საქართველოს ოლქებ შორის დაამყარეს შრომის განაწილება, საბოლოოდ შეარყიეს სამთავროთა სამეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთლიან ერთეულში გააერთიანეს ისინი—ამბობს ამხ. სტალინი („მარქსისმი და ნაციონალური საკითხი“). აკაკიც სწორედ კაპიტალიზმით გავრთიანებულ ერის პოეტად გამოდის, მაგრამ იგი ამავე დროს უარყოფს ორი ერის (დამჩაგრელების და დაჩაგრულების) არსებობას და ერთ ჰარმონიულ ერს შენატრის. იგი უარყოფს თავისი ეპოქის კლასობრივი ბრძოლის „დღიურ სიციხადეს“ და უპირისპირებს მას წარსულის „უცხო სიხმარს“:

დღიურ სიციხადით გულდაჩაგრულმა დამით ვიხილე უცხო სიხმარი— ვნახე, რომ ქვეყნად ჩამოსულიყვენ ნინო, ქეთევან და თვით თამარი.“

აკაკი გმობს უმადლეს ფეოდალურ წოდების, მისი ზედაფენების პრაქტიკას. ქვეყნის წინამძღოლად და დასაყრდენად, როგორც წარსულში, ისე აწმულო მას მიაჩნია თავდაზნაურობის „უმეტესი ნაწილი“, ე. ი. საშუალო თავდაზნაურობა მის მორჩილებაში მყოფ გლეხკაცობით წელგამაგრებული. აი, როგორ იცავს პოეტი ამ „საშუალოებს“. „ამ საუბედურო სენით (ოლატით და გამე-კრებლობით. ა. ა.)—ამბობს აკაკი—შეპყრობილია მხოლოდ მალალი წოდება და მათი წარმომადგენელი ერისთავ-დიდებულები, რომელთაც ქვეყნის მეთაურობა ეჭირათ ხელში და არა გაურჩევილად

მთელი მაშინდელი თავდაზნაურობა, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიათ. უმეტეს ნაწილს მაშინდელ თავდაზნაურობისას ერთადერთ წოდებასთან, ე. ი. გლეხობასთან, ქვეყნის სამსხვერპლოდ ჰქონდა თავი გადადებული“-ო (იხ. წერილი „საანბნო ჭეშმარიტება“, ორი პუბლიც. სტატია, ტფილ 1904 წ.).

ახლად გაყრილ ბატონყმობის კვალზე დაწერილი აკაკის პიესა „ძველსა და ახალს შუა“, რომელსაც გ. ერისთავის კომედიების გაუღენის დიდი ბეჭედი აწის. აქ ჩვენ ვნახავთ ქართველი მოღიერის ნაცნობ სიტუაციებს: მამულზე დავას, ძალად ქალის გათხოვებას, ორი თაობის (თავად გატენილი—დიდურობების, სტუდენტ ალექსანდრეს და ოფიცერ ხეპრიაშვილის) კონფლიქტს მეურნეობის წარმოების წესის გარემო, რომელსაც ავტორი განმანათლებლობის თვალსაზრისით სჭირს, ე. ი. საზოგადოების „გასწორებას“ ნაკლოვანებათა მოსაზრებით ფიქრობს. ხეპრიაშვილს— გრიბოედოვის სკალოზუბის პროტოტიპს— გარიბალდი იტალიელ ყაზალად და უცხოეთის შამილად მიაჩნია. მას შეუტანს მოსწონს საიდანაც ამოკითხული მუდმივი ომის და გადაწყვეტულ მოსახლეობის გაუღენის თეორია. სტუდენტი ალექსანდრე— კნიაზ-ლიბერალის“ დერიაციბა პიესას აკლავს. გ. ერისთავის დეკლარაციის რეალისტური სიმართლე და კომიზმი.

„პირუტყვების არჩევანში“ მოცემულია თავდაზნაურობის არჩევნები შუბლმავარ მსხვილ ფეოდალების წინააღმდეგ მიმართულ სატირით და ლიბერალურ თავდაზნაურობის პროგრამის დაცვით.

„ენების გასამართლება“ პამფლეტია ლიტერატურულ არქაისტების წინააღმდეგ, რომელთა რეგემში აკაკი ხედავდა ბოძოლა არისტოკრატებს. გ. ერისთავის მიერ შემოტანილ და თვით აკაკის მიერ განმტკიცებულ ცოცხალი ხალხური ენის მომხრეებს ასეთი განაჩენი გამოაქვთ ძველი ენისათვის: „რადგანაც ეგ მშვენიერი ენა სააქოს აღარავის ეყურება, ცოდვა არის რომ ტყუილად გაფუჭდეს და აისისთვის უმჯობესია საიქიოს გაიგზავნოს“.

გლეხობა მეორეხარისხოვანი აქსესუარის როლს თამაშობს აკაკის დრამატურგიაში, მისი მთავარი ყურადღება საშუალო თ. აზნაურობას ეკუთვნის. ბატონყმობა გადავარდა, მაგრამ მოისპო მხოლოდ ბატონის უფლება გლეხის პირადობაზე, ეკონომიურად კი გლეხი ისევ საესებით მიწის მესაკუთრე ბატონის ხელშია. აკაკი მარტო გლეხის ფორმალურ-იურიდიულ „თავისუფლებას“ უსვამს ხაზს:

სხვებ რა გიჭირს: ხომ შეიტყვე, ბატონი არ გყავსო! ბატონი ვერ შეგაშინებს, ვერც გატყნის ვალოო! დიდი-კაცის შეილს სკოლაში გვერდთ მოუჯდებიო, ძველ ბატონიშვილს სწავლაში წუ ჩამორჩებიო, გლეხსა ნიჭი არა აქვსო—არ აფიქრებიო!

თითქო ბატონყმობა აღარაა, მაგრამ პრუსიული ექსპლოატაციის სისტემა კიდევ უარესი გამოდგა. პიესა „კულურხანუმ“-ში ოსმალეთის საფარის ქვეშ, უცხო ფაქტურის ნიშნებით მოცემულია არისტოკრატის გახრწნის და გლეხთა ჩაგვრის გაძლიერების სურათი 80-იან წლებში. ხალხსანი-სტუდენტი („წვეროსანი“) არჩილი მალაფარდოვანი ფრანკებით კეყოფილდება და მოწყვეტილია ხალხს. პიესა უფრო მალალი წოდების რუსიფიკაციისაკენ მისწრაფებას ურტყამს და ეროვნულ „დიდების“ პოზიციებისაკენ მოუწოდებს მას.

კომედია „კინტო“-ს თვით აკაკი „დროებითი მნიშვნელობის, წარმავალ ნაწარმოებთა“ რიგს აკუთვნებს. აქაა აპოლოგია „სულით და გულით, წოდების განურჩევლად, ქართველსა“, რომლისთვისაც ფეხზე მოვაჭრე ბოჰემის ტიპი—კინტო წარმოადგენს პოეზიის შარავანდედით მოსილ დროსტარების და განცხრომის სიმბოლოს და განუყრელ იდეალს.

აკაკის ჰარმონიული, შუალედი, მაგრამ არსებითად და საბოლოო ანგარიშით „პრუსიული“ გზის თანამიმდევარ და პრინციპულ დაცვას წარმოადგენს პიესა „რეაქცია“, რომელიც მისი უკანასკნელი პერიოდის ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის (1910 წ.) და, სადაც დიდის ისტატობით მოცემულია 1905 წლის

რევოლუციის დამარცხების შემდეგი დროის სოფლის სურათები. აქ პოეტ-დრამატურგის შეგნებაში ერთმანეთს ხედება ისეთი საკვანძო მომენტები, როგორცაა მისი ეპოქის დასაწყისი—70-იანი წლები და 1905 წლის მომდევნო უახლოესი წლები: „ბატონყმობას რომ უპირებდენ გადადებებს, მაშინაც ანგვარი ნიშნები იყო. სწორედ ჩამოგვართმევნ მიწებსაცა და სულ მშრალზე დაგრჩებითო“-“—ელოდა მემამულე, მაგრამ რევოლუცია დამარცხდა და მას ასეთ შეფასებას აძლევს ერთერთი, ვითომდა, მისი თანამგრძობი: „ეგ ყველაფერი სტიქიონურია, იშვიათი მოვლინება, როგორც მიწის ძვრა, მეწყერი, ცეცხლის გაჩენა და სხვ. ყველა გადამაველია.“ მეორე პერსონაჟი—მემამულე მიმართავს გლეხ ოსებს, რომელიც 1905 წლის ერთობის დროს „სულიათ“ იყო არჩეული: „ჩვენ უთქვენოთ ვერ ვიცხოვრებთ და თქვენ უჩვენოთ... ბატონობა სულ სხვაა.“ ოსებიც თავს იმართლებს: „მე ხომ ჩემი ნებით არ ვყოფილვარ („სულიათ“ ო. ა. ა.?) მიბრძანეს და დავდექი! სთველს სად წაუხვალ-ო?“ დამსჯელი რაზმების თარეშის, გლეხთა სახლების ხანძრის და საყოველთაო რეაქციის ფონზე აკაკის მეტად მოხდენილი შტრიხებით აქვს მოცემული გაბატონებული კლასის იდეური სახე, რომელიც ამ დროს დაწინაურდა არც იბაშევის პორონოგრაფიას და ლეონიდ ანდრეევის მაროდიორულ-რეაქციურ დაცემულობას.

აკაკი არ იყო მარტო პრუსიული გზის ხანგრძლივობის წინასწარმეტყველებში. მასზე უფრო გვიან გამოსული და სოფლად კაპიტალისტური პროცესის უფრო მძაფრ და ველურ პროცესის მოწმე და ამსახველი—ჩეხოვი მხოლოდ კონსტიტუციაზე ოცნებობდა და სულაც არ მოელოდა რევოლუციას რუსეთში. აკაკი მოელოდა პირველ რევოლუციას და მსოფლიო ომს, მაგრამ, თავის სოფლმხედველობითი შეზღუდულობის გამო, სათანადოდ ვერ შეაფასა ისტორიული მამოძრავებელი ძალები.

მისი ისტორიულ-რომანტიკული დრამები—„პატარა-კახი“, „თამარ-ცხიერი“ აკაკის პოზიციის გასამაგრებლად წარსულში მოხდენილი ექსკურსიაა. ესაა „ПОЛИТИКА ОПРОКИНУТАЯ В ПРОШЛОЕ“: გელას „დაბალი ხალხი და გლეხკაცობა“ ქვეებით და კეტით გაყავს საომრად თავადების გვერდით. მგოსან გოჩას, აკაკის საოცნებო იდეების მატარებელს და მის მეორე „მეს“ თამარის და მისი დროის კულტი ასულდგმულს. ანტიურ თემზე დაწერილ „მედია“-ში აკაკი ისე ხატავს მონათმფლობელურ საზოგადოებას უჩვე განვითარებულ ვაჭრულ-მეცან-შურ ურთიერთობით, როგორცაა ზეისტორიული, კონკრეტულ-ისტორიულ გარემოს მოწყვეტილი მალალ კლასების „დამტკობი“ მითოლოგია.

აკაკის მრავალფეროვან მემკვიდრეობაში მისი დრამატურგია მხატვრული მიღწევების მხრივ ნაკლებად დამოუკიდებელი სფეროა, იდეურად კი იგი სრულ თანხმობასა და მთლიანობაშია მისი დიდი შემოქმედების საერთო მიმართებასა და ტენდენციებთან.



ეს სურათი გამოიგზავნა ქუთაისიდან ი. კვიციანიძემ 1925 წელს, როცა მე და პრფ. ს. გორგაძე აკაკის თხზულებებს ვამზადებდით. მწერდა, სურათი აქ აღმოვაჩინე ერთ ფოტოგრაფთან. შემდეგ აკაკის ნების აღმასრულებელს კ. აბდუშელიშვილს ვუჩვენე იგი. მან განაცხადა: ანგვარი სურათი არ მახსოვს, მაგრამ მინახავს სხვა ამავე ასაკის მისი სურათები და ვადასტურებ, რომ ეს არის ნამდვილად აკაკიო.

ალ. აბაშელი

აკაკის დღეები ჰიათურის რაიონში

ჰიათურის რაიონი აკაკის მშობლიური რაიონია. რაიონულმა ორგანიზაციებმა მთელი ძალები დარაზმეს იმისათვის, რომ დიდი მგოსნის დღეები დღესასწაულებრივად ჩაეტარებიათ.

17 და 18 თებერვალს ჰიათურის რაიონის კოლმეურნეობათა და მუშათა კლუბებში ჩატარებულ იქნება მოხსენებები აკაკის შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ.

აკაკის სახელის უკვდავყოფად სხვიტორის კოლმეურნეობას, საჩხერეში მთავარ ქუჩას, ჰიათურაში პედაგოგიურ ტექნიკუმს და კლუბს, რომელიც ამჟამად შენდება საჩხერეში, აკაკის სახელი მიეკუთვნა.

გადაწვეტილია აკაკიეული სახლი შეკეთებულ იქნეს კაპიტალურად, ეზოში კი გაშენდეს ხეხილი და დეკორაციული მცენარეები.

უ მ ხ ვ ე ღ რ ა

ი. ბურჯულაძე

იხარე გულო, დღეიდან უკვე არ შეგაშფოთებს ყრმობის ნაღველი, რად არ მეღირსა სიცოცხლეშივე, რომ გავმხდარიყავ შენი მხახველი. თითქმის ჭუნაზე შეგვხვდით ერთმანეთს პირტიტველა და ქალარსანი, მე მოტრფილე პოეზიისა, შენ დიდებული ჩვენი მგოსანი. ახლაც წინ მიდგას მთვარეულივით ეგ შენი სახე ეშხის მთოველი, და ხმა გულიდან ამონატანი: „მზე-ჰაბუკებო, ისევ მოველი.“ —მოველი მაგრამ არ შემოძლია კვლავინდებურად ფიჭრის დამალვა, და ამ სიტყვებზე შემოგება შენ პოეტების მთელი ამალა. გვითხარი რამე მეფე მგოსანო, შენებრ უცვლელი, მხენ და ახალი, ჩვენთვის „ხელხიხელ საგომანევი“ და ათროლებით შესანახავი. —მოდით, მოგროვდით, თუმც აღარ ძალმიძს თქვენთან ვმართავდე აზრთა მარულებს, თუმცა ყოველგან მშრომელი ხალხი, ახალ სიმღერებს ასალამურებს. —აქ ისევ ფასობს ჩემი ლექსები, მეც თქვენთან ერთად ვმღერო ხანდახან, თავს დაბლა ნუ ხრით, მხენდ მიპასუხეთ დღეს თქვენი ჩანგით ძმებო ხადა ხართ. —გირჩევთ დახვიდეთ ხალხის გულამდე თქვენ პოეზიის უხვი მარავით, მოვსულვარ, მინდა, რომ შეგეჯიბროთ პირველობისთვის ისევ აკაკი. —რადას უყურებთ, ააწკრიალეთ ჩემი სიცოცხლე დაფი, ნაღარა, მზე-ჰაბუკებო, დღეს თქვენს წინაშე მსურს შევიღებო ინიო ჰლარა. —მსურს, რომ გავფერო და ძველებურად ავითამაშო ოქროს კალამი, უკვე ოცი წლის დადუმებული, უკვე ოცი წლის უანგით ნანამი. —მაგრამ მგოსანებო, არ გეცილებით, რად მინდა წინსვლა გადანამეტი, როცა ისედაც გზას მიმინათებს მძღვე სიკვამლის შარავანდედი. —დო, თქვენ იგემთ მწვერვალზე ახვლა, და ისე ჰკუას გადავალ როგორ, რომ დამეხარბოს სიმღერა თქვენი, თუგინდ შოთახაც რომ წააჯობოთ.

5/II-35



აკაკი ახალგაზრდობაში

1908 წელი. 20 ივნისი. ქუთაისის სადგურზე მატარებელი მესამე ხარის ელის.

კუბეში ვართ სამნი: ნიცა წერეთლისა, მისი პატარა თამუნა და მე.

ნიცამ მოთმინება დაკარგა: რა დაუდგვარია ეს კაცი ათასჯერ გავაფრთხილე და მაინც დაიგვიანა.

ჩვენი წლის თამუნა ფანჯარას პეტილასავით აკვრია. მეც გარეთ მიჭირავს თვალი და... უმცრად ვიძახი:

— მოდის! ეს სახე მხოლოდ სურათზე მინახავს რუსთველის მარჯვნივ და ილიას პირდაპირ.

მოდის დაღლილი ნაბიჯით. იცნეს... და საყვარელი სახელი ჩურჩულით გავრცელდა ხალხში.

მოკრძალებით გზას უთმობენ, შორი-ახლო მოჰყვებიან, ერთმა გაბედა და ვაგონზე ამავეს ხელი მიაწვდია.

თითქო ამას უცდიდნენ. ხალხი დაიძრა ადგილებიდან და ის ვინც მხოლოდ სურათზე მყავდა ნახული, ზევით აიტაცეს.

ამ დროს ხარსაც შემოჭრეს და მატარებელი დაიძრა ურმის დავიდარებით.

ორ-სამ წუთში ჩვენი კუბე ალყაშემორტყმული იყო. ვერ გატარა ვიღაცა სამხედრო პირის დეზებში ზბრაილმა და რიხიანმა ბრძანებამ.

მგზავრები ივრით მიდიოდნენ მესამე კლასის ვაგონებიდან. უკანა რიგებში მდგომრი წერეთლები იგრძელებდნენ კისრებს, რომ ერთი თვალი მაინც მოეკრათ საყვარელ ადამიანისთვის.

ცხელი აერით შეხუთულ კუბეში ფანჯარა ძირს დაეშვა და მხოლოდ მაშინ მივხვდით, რომ მთელი მატარებელი აკაკის იმდროსა:

— სანამ ვიყავ ახალგაზრდა... — დაიგვიანეს, ჯერ არსად ჩაწან...

ნი დაუდგვრობით. ვინ შეიჭრეს? ვინ შეიწუხებს თავს ხალხში სიარულით? ბევრს დაევალება, მაგრამ არავინ მოიცილა.

აკაკი უკმაყოფილო საზოგადოების ერთი ფენით. პირადი ბედნიერება ქვეყანას მტლად დაუდო და 50 წლის შრომას არავინ უფასვებს. რამდენი ახალი საქმე წამოუწყია ნახევარი საუკუნის მანძილზე. მართა ჭიათურის მარგანეცის აღმოჩენა რად ღირს, მაგრამ აქაც „სახელიც სხვას დარჩა და სახრავიც“. პენსია ალუთქვეს. მაგრამ ფულის მისაღებად მისულს სამი თითის კომბინაცია აჩვენეს.

— „მაშ ვის უნდა დაეხმადლო, რომ დღემდე შემარჩინა სიღატაკი და შრომის სურვილი, ჰკითხულობს პოეტი და თვითონვე უპასუხებს— ხალხს, უბრალო ხალხს, რომელმაც უკრიტიკოდ მიმჩილა.“

მაღე დავრწმუნდი, რომ საწერეთლოში აკაკის, როგორც „შინაურს“, შენდობა არ ჰქონდა „აკაკი თქვა?... მერე? დაუჯერე? ჰმ! რა გულბრუნვილი ყოფილხარო! აკაკის მართალი ვის გაუგონია!— ამბობდნენ პოეტის გულწრფელობაში დაეჭვებულა თ ვადები.

აკაკი მიჩნდათ უსაქმო ადამიანად, რომელსაც გული ღვარძლიანი აქვს და ენა გაუტანელი.

მხოლოდ ნიცა და ბეჟან წერეთლის თვახს ახარებდა აკაკის მისვლა: აქ მისი „მწარე ენა“ მარბათზე უტყებეს იყო.

მოვიდოდა, დასვენებდა და გვიამბობდა აქაურს-იქაურს და ყოველთვის უცნაურს.

თავის სიღარიბეზედაც ჩამოაგდებდა საუბარს და თუ ვინმე დაეჭვებოდა, იტყოდა:

— ახირებული ხართ. საიდან ბატონო, საიდან? საჩხერის მამული არაფერს მაძლევს, თქვენც კარგად იცით, რედაქციაში კი დაპირებით მკვებავენ, გრომ-კაკის არავინ მიგზავნის. პოეტი ხარ, სულიწმინდამ გარჩინოსო.

აკაკი მართალი იყო. მას ხშირად ჰქონდა ჯიბე ცარიელი და ფულის მოულოდნელი შეძენის სურვილი.

ორი თუ სამი დღის შემდეგ სწორედ ამ სურვილმა აიყვანა პოეტი საჩხერის მაღალ გორაკზე, სადაც „ქვემოქვემდებარის“ მიხნით ერთს „გულკეთილ კნინას“ პიკნიკი მოეწყო.

გვიან მივედიო. მთავარეს ფოთლებით მოეპარა ხეივანში გაშლილი სუფრები.

იქ, ერთი სუფრის თავში ვნახე ის, ვინც თავისი მოსვლით ფასი დაუქარგა ადგილობრივ დონუხანებს, ჯერ კიდევ ახალგაზრდას ქონი მორთოდა, მაგრამ ტყვიასავით იყო ჩასხმული მოკლე ჩოხაში. უკან, ერთი ნახტომის მანძილზე, მას დარაჯობდა ექვსი შეიარაღებული ინგუზი.

უცნობი დუღუკის ზუზუნზე კენესოდა შიქასტებს, ბათებს და მისი ეშხით იცხებოდნენ ხანდაზმულობით შეფერხილი კნინები.

ეს იყო ქართლის მრისხანე ფეოდალი— გიორგი ამილახვარი.

სუფრას მგონი „ცნობილი“ ზუბიკო აბდუშელი თამადაობდა.

თამადა სამშობლოს სადღერძელოს სემადა უზარმაზარი ყანჭით, როცა სუფრას შორი-ახლო ჩაუარა თოვლივით თეთრმა აკაკიმ.

არავის არ მიუქცევია მისთვის ყურადღება. არც აკაკის მიუხედავს სუფრისაკენ: ხეივანის სიღრმეში განცალკევებულ მაგიდაზე გაცხარებული ბანქოს თამაში იყო...

მასსვს იმ ზაფხულის ქარიანი დილა, როცა მე და ჩემმა ამხანაგმა, დათიკო ყიფშიძემ, საჩხერე დაეტოვეთ. ცხელია. დახურულ ვაგონს ღია ვამჯობინებთ და თურმე დიდი სიხარული გველოდა: აკაკი მოვიდა.

სოფლის მუყდრებებს მოხუცე კარგი გავლენა მოეხდინა— ჯანსაღი და მზიარული ჩანდა. მის ერთადერთ ტვირთს შეადგენდა ფრანგული ჟურნალი „Revue de Monde“.

გამოგებდასა. მერე გაშალა ჟურნალი და დაიწყო უხმოდ კითხვა. ის ვერ ამჩნევდა მგზავრებს, რაღაც უცნაური გაკვირვებითა და სიხარულით რომ უჭერდნენ ყველა კუთხეებიდან...

ეს მოხდა უფკრად, ღია ვაგონში შემოჭრილმა ქარმა თითქო ფრთები მოხვია აკაკის კილოფის ქუდს და გაიტაცა.

ჩვენ ერთი ალიაქოთი ავტებეთ და ვერ შევამჩნიეთ, თუ ვინ ჩამოკრა ამ დროს ორთქლმავლის გასაჩერებელი ისარს.

წუთი და... მატარებელი დადგა. ვაგონებიდან პანტა-პუნტით გადაცივებდნენ მგზავრები ქუდის დასაჭერად.

აკაკი შეწუხდა: „რას სჩადიან! დაუძახეთ თავი დაანებონ იმ თხერს...“

დოლიდან დაბრუნებულბში მხოლოდ ერთი იყო ყველაზე უფრო ბედნიერი: მას ორივე ხელით მოჰქონდა აკაკის ქუდი.


აკაკის ქუთაისში დიდის ამბით გადუხადეს იუბილე. იყო სიტყვების ტაკატუჟი, ტაში, ვაშას ძახილი და ბევრი დაპირება.

მაგრამ, როდესაც თეთრ-ცხენებიან ეტილიდან გადმოყვანილი ხელით მოიყვანეს ჩვენთან

ამ ორი წლის წინად თოფურას საავადმყოფოში ვიწექ მიმიე ავადმყოფი. ხალხმა, ჩვეულებისამებრ, დიდი თანაგრძობა გამომიცხადა: მოდიოდნენ უთვალავი მნახველები, რომ ჩემი ამბავი გაეგოთ, მიგზავნიდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ურიცხვ დეპეშებს და სოფლებშიაც პარაკლისებს თურმე იხილდნენ. იმ დროს მე ამების არა გამეგებოდა რა და საუკუნოდაც შეუტყობელი დარჩებოდა, თუ თოფურას ქართველურ-პლატონიურ თანაგრძობის ნაცვლად რეალური შემწეობა არ ამოეჩინა ჩემთვის. ავადმყოფობის გამო იძულებული ვავხდი, რომ ჩემი სახლ-კარი დამეგირავებია ბანკში და სარგებელი მეხადა.— რადგანაც ბანკზე ჩემი ირი-

ვინმე მომიწერს ხელს სამასი მანეთის ვექსილზე და ბანკიდან ვივალებ მეთქი: მაგრამ დახეთ ვარემობას: ერთმა მათგანმა, რომელმაც ჩემი ექვსასი თუმანი შეირჩინა, დ. ბ... სიცილით მითხრა: ეგ როდინდელი მოგგონებიაო? და უარი მითხრა. მეორემ, რომელმაც ჩემის შემწეობით უნივერსიტეტი დაასრულა, ა. ქ... ხელი არ მომიწერა. მესამენ... მეოთხემ... მეხუთემ. ერთი სიტყვით, ყველამ, ვისაც კი ჩემი ემართათ, საცინლად ამიგდეს და გაწბილებული გამო-მისტუმრეს.

ქალები საზოგადოდ კაცებზე უფრო კარგები არიან ყველგან და განსაკუთრებით ჩვენში!. მარამ დემურასამ მოიყვანა ჩემთან ერთი მდიდარი გ. ქ...



ცხებოდა ათას ხუთას თუმანდღე და ვერ მიხდიდნენ. მე ვთხოვე, რომ გიროს სარგებელში მაინც გამოერიცხათ ხოლმე და მე ვავეთავისუფლებით სარგებლის გადახდისაგან. აღმოთქვეს, დამაიმედეს და გამომისტუმრეს. თურმე მატყუებდნენ: ტვილისში დეპეშა მივიღე: ბანკი ხვალ მამულს გიყიდისო! მაშინ კი მივხვდი რაც ხრიკები გამოიკეთეს, მაგრამ გვიან-ლა იყო: ისე მალე რალას ვისაშუალებ-დი?— მე ჩემს სიკაცხლეში ბევრისთვის გამიმართავს ხელი გაჭირვებაში და არა თუ გადამიხდევინებია, არც კი გამიხსენებია. ვიფიქრე, მოდი ახლა, მეც სხვებს მივმართავ მეთქი. ერთი მათგანი

და მან აღმოთქვა ხვალ მოგართმევო! მაგრამ მომატყუა! თურმე კიტას მოყვრებს დაეშალათ. მეორემ კ. მ... არ მომიწერა ხელი, კ. ბ... შეგონებით. ერთი სიტყვით, ვერსად ვერას ვავხდი და მეც ვადეპევიტე იმედი. ეს ამბავი გაეგო, როგორცაც საფაროვის ქალს. დაეგირავებია რაც რამ ებადა, ზოგი ძმისაგან ესესხნა და მომიტანა სამასი მანეთი. თქვენგან ბევრი შემწეობა მახსოვს და ახლა ჩემგანაც მიიღეთ სა-მაგიეროო.

1) თავისი ცხოვრების პატარა ეპიკოდში აკაკი გვიამბობს ქართულ ვაჭრულ ფეოდალურ საზოგადოების გულქვაობას. თუმცა მაშინ ავადმყოფ აკაკის მოსარჩენად დაბა-ქალაქებში პარაკლისებს იხილდნენ, მაგრამ ბანკში დაგირავებულ პოეტს კრიტიკულ წუთში საშინელ მდგომარეობიდან თურმე ცნობილმა მსახიობმა მაკო საფაროვ-აბაშიძისამ დაიხსნა პოეტი, როცა მან დააგირავა თავისი სახლის ნივთიერი და აკაკის სამასი მანეთი უშოვნა! ვექსილის მეორე გვერდზე მინაწერი აკაკის უსათუოდ ისტორიისთვის აქვს გათვალისწინებული, — მხოლოდ მიტკა, რომ მაღლობა გადაუხადოს მაკო საფაროვ-აბაშიძისამ. ასე იცოდა აკაკიმ მეგობრების დაფასება.

2) ვექსილი (300 მანეთისა) დაწერილია 1900 წ. 5 მაისს. გაცემულია მაკო საფაროვ-აბაშიძის ძმის, მსახიობ შაქრო საფაროვის სახელზე. ხელს აწერს აკაკი რუსულად: Князь Акакий Ростомович Церетели. ვექსილზედ ორი ქართული წარწერაა: „ამ ვექსილში მივიღე ოცი თუმანი. შაქრო საფაროვი“. „სრულიათ მივიღე. რისთვისაც დიდათ ვმადლობ კნ. აკაკი წერეთელს“.

გ. ლეონიძე

გ. ლ.

(ნიცა და ბეჟან წერეთლის სახლში თეთრ ხიდთან) მას მხოლოდ ხუთი თუმანი მოყვა ჯიბით და ისიც დაკარგა.

აი, როგორ: გრძელი სიტყვების მოსმენით დაქანცული პოეტი ის იყო მოვასვენეთ „ძია არჩილის“ პატარა ოთახში, როცა კიბეზე შურდულივით ამოვარდა ვიღაც ჩოხოსანი.

— აკაკი უნდა ვნახო, საქმე მაქვს! ვეუბნებთ, რომ დაღლილია და ისვენებს. უცნობი დაქინებთ მოითხოვს მის ნახვას.

— შემოუშვით!— გვესმის აკაკის ხმა, ჩოხიანი შევიდა მის ოთახში. გამოუხრულ კარებთან დავრჩით მე და ნიცა წერეთელი.

დაეჭვებული ვუცდი რაღაცას. ირგვლივ ოთახები საესვა ხალხით და რა უნდა მოხდეს? ამ დროს კარი ისევ იღება და ჩოხიანი ელის სისწრაფით სტოვებს ბინას.

აკაკი გაფითრებული დვას შუა ოთახში: — ხედავ, რა ჩადინა იმ საძაგელმა ჩუმი ხმით ფული მომთხოვა და ხანჯალზე ხელი წაივლო.

— მერე, ბატონო? — მეც უხმოდ ამოვიღე და მივართვი უკანასკნელი ხუთი თუმანი.

ჩვენ გაოცებული დავრჩით. — ვინ იყო?..

ძლივს მომაგონდა ამ კაცის სახე. 4-5 წლის წინ ხონში ჩამოსულ ცირკს მსოფლიო ჩემპიონად ჩამოყვა. მკერდი მუდგებით ჰქონდა აჭრელებული. ერთი კვირის განმავლობაში ათამდე ჩამოყოლილი ფალავანი დასცა ძირს, და ბევრი ფული აკრიფა. მადგალეობულს უფრო მეტი ელოდა, რომ ადგილობრივ მკლავმავარ ქაენიანძეს ეჭვი არ შეეტანა მის გოლიათობაში.

ერთ დღეს გაბედა. დაავლო ხელი ამ ჩიაკაცს და მიწაზე დაანარცხა.

აკაკი იუბილეს შემდეგაც ბოგემად დარჩა. ხან ჩვენთან ათვდა ლამეს, ხან სერგი ბახტაძესთან, ხან კი, ვინ იცის, სად.

ერთხელ აკაკი შანიძე და მე ვეწვიეთ აკაკის ქუთაისში და ორივე თავისი სახელობის სტიპენდიით დაგვასაჩუქრა.

რა თქმა უნდა, აკაკი აქაც მოატყუეს და ჩვენ უსტიპენდიოდ დავრჩით.

4 წლის შემდეგ ხომლელის დავალებით აკაკის ბინის ძებნას შევეუდგეთ. დავიარე ყველა ოჯახი, სადაც ის თავს იფარავდა, მაგრამ ვერსად ვნახე.

ბოლოს სასტუმრო „გრანდოტელში“ მივაკვლიე, კუშკინის ქუჩაზე. დეკემბერში ტახაუზდელი იწვა ცივ ოთახში, ავადმყოფი.

რამდენიმე დღის შემდეგ ის საჩხერეში გარდაიცვალა.

აკაკი და მისი მეგობარი ქალები*)

დაუბეჭდავი მასალები

1. საყვარელ ნათლიადაც ნიციას

რომ დაგვიტყვებს ნაღველ-ძმარი, გულში შხამად ნაგუბარი, გრწამდეს სოფლის უკვდავება, მეცნიერის ნაუბარი.

ვინც მოგშორდენ დროებითად, ნუ გგონია დაკარგული, გადაცვლით და განსვენებით ელვარეობს მხოლოდ სული.

რაც ყოფილა... რაც არსებობს! არა ჰქრება, თუმც იხრწნება. საუკუნო უკვდავება ქრისტეს ბეჭდით იმოწმება.

3. პირუთინეველად

მარიამ სვიმონის ასულ გოშაძისას

კარგი რამ ხარ როგორც დედა... უკეთესი როგორც ცოლი... თვალ ტანადათ ლამაზ—სანდო. ხაკადრისი ქმრის და ტოლი.

შემოქმედმა შენით შენზე თვისი ძალა დაგვანახვა... დიდება მის ძლიერებას... რაღა ეთქმის პოეტსა სხვა...

2. სახსოვრად

ქალბატონს

ტასო მაჩაბლისას

ავტორისაგან

1904 წ. ივნისის 25 დ.

მთელი ჩემი სიცოცხლე ტანჯვა და ვაება... ამირანის ჯაჭვებით დაბმული უკვდავება!

ბედმა დამწვა, დამდავა გადასასხ მდულარე, მაგრამ ვაფუძლებ ტანჯვას, შენ თუ მისხივ-ცისკარე.

4. ახირებულნი დასტური

ქალო ნეტავ ჩემი იყოს შენი შავი თვალები! ბატონი ხარ!... დამითმია თქვენთვის ჩემით ვალეზი.

როდის მომცემთ ნებას, რომ მე დაგვეკონოთ ფართო-ხალსო? —როცა თვითონ მოგაწოდებ ჩემის ხელით ფართო-ხალსო.

ხელზე კაცნა რომ მომინდეს რაღას ბრძანებ მაშინაო? —ხელს გაგიშვებ კარებისკენ აღარ წახვალ მა შინაო.

*) ვუგზავნი რედაქციას აკაკის დაუბეჭდავი მასალებს. ეს ყოველივე მომავალ მონოგრაფისტს გამოადგება.—დამწერს წიგნისა „აკაკი და მისი მეგობარი ქალები“.

ოდესმე გამოჩნდებოდა, თუ აკაკის ტვირთმძიმე ცხოვრებისთვის რამდენი ნათელი მოუფენიათ ქალებს, რამდენი ჰუმანიტარული მეგობრობა გამოუჩინიათ, გაუმხნეველიათ, მოფერებიათ და ნივთიერადაც კი დახმარებიათ. ეს ქალებივე იყვნენ შთამბრალბლები აკაკის არაერთი ლირიკული შედევრისა. ამ მხრივ ქართულ პოეტებში აკაკი ბედნიერი გამონაკლისი იყო. ყველაფერი ეს ალბათ თავის დროზე დაიწერება, მანამდე კი ვიტყვი, რომ მეგობარ-ქალების პატივისცემას აკაკი მეტად გულწრფელი ყურადღებით უპასუხებდა.

ამჟამად ჩვენ ვაქვეყნებთ სამ დაუბეჭდავ ლექსს—აკაკის ეპისტოლარულ ფონდიდან. სამივე ლექსი ექსპროზოა და ორი მათგანი წარწერილია აკაკისგან ნაჩუქარ წიგნებზე—თავისი მეგობრების სამადლობდად.

ამ ლექსების გამოშვებები არიან: 1. ნიცა წერეთელი, პოეტის ნათესავი, მეგობარი, მცნობი 1880-იან წლებიდან,--დღესაც მხნედ არის. სამწუხაროდ არავის მოსულია ახ-


რად ენახულა აკაკის ნათლიადაც და არაერთი ამბავი მოესმინათ მისგან აკაკიზე.

1904 წ., როცა ნიცა წერეთელს ბავში მოკვდომია, მწუხარე დედის სანუგეშებლად პოეტს ფლამარიონის წიგნი „Неразлучное“ გაუგზავნია და ყდაზე მუნასიბად ეს ლექსი მიუწერია.

2. ტასო მაჩაბელი, ნიცა წ-ს და, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პოეტის კეთილი მფარველი, დიდი პატივისცემული და მზრუნავი, რომელიც ლიტერატურულ მუშაობაშიაც კი დახმარებია პოეტს („ვიდრე გვალ უფალი?“-ს და „ღალატის“ თარგმანების გადათქმებაში).

1904 წ. აკაკის თავისი საყვარელი ნაწარმოები „ჩემი თავგადასავალი“ ძვირფას წითელ ხავერდის ყდაში და ბუდეში ჩასმული ტასო მაჩაბლისთვის მიუძღვნია. წიგნის პირველ ცალიერ ფურცელზე ეს ლექსწარწერაა მოთავსებული (იხ. მთაწმინდის მწერალთა მუზეუმი, № 7).

3. მარიამ გოშაძისა. ექიმ გოშაძის მეუღლე. აკაკის ექსპროზი დაწერილია 1896 წ. 12 აგვისტოს, აბასთუმანში, როცა ექიმ გოშაძის ოჯახს აკაკი და რუსის მწერალი ველჩკოვსკი ესტუმრნენ (ამავე თარიღით აბასთუმანში დაწერილია ველჩკოვსკის ორი ლექსიც მარ. გოშაძისადმი მიძღვნილი).
გ. ლეონიძე



აკაკი თავდაზნაურების წრეში

ნახატი ლ. გუდიაშვილისა

კატარა ფელეტონი

აკაკი თანამედროვე მწერლებს

ს. კლდიაშვილს

გუშინ გქონდა მოლხენა, დღეს რათ მოგიწყენია? რათ ჩავგარდნია ენა, ხომ არაფრის გრცხვენია?

„აღლა-ვერდი“

მ. ჯავახიშვილს

სანამდის მაქვს ძალ-ლონე ვიდრე არც ხნეირი ვარ, ვიძახებ თავ-მომწონე: „ვარ და ბედნიერი ვარ!“

„უდარლო კაცი“

3. ჩხიკვაძეს

ჯერ არ იციან ახლებმა თუ რა ხილია ხურმაო. ჩემზე მეტს რომ იწველიდეს დამწიხლოს მე იმ ფურმაო

„რჩევა“

შ. შავგულიძეს

„საკიკუკუს“ მოთამაშე, „ფიგაროა“ მწერლობაში!.. იმას ცდილობს, მხოლოდ იმას, რომ ასტეხოს რამ განგაში!..

„პუბლიცისტი“

ბ. ბუაჩიძეს

ბევრი ბრძოლით დაღალულსა ეჭირებოდა მოსვენება...

„ავადმყოფი“

ს. თალაკვაძეს

ბანზე შევადე შენი კალამი, რომ დაეყაროს ბლომად მას მტვერი, თუ გასურს მიიღოს ხალხის საღამო და შეირიგოს კრიტიკა—მტერი.

„რჩევა მწერლებს“

5. ზომლეთელს

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს...

„ავადმყოფი“

ს. ეულს

პაერში მოკიკუკიე ხარ, ზენატაცი ტოროლა! ქვეყანას შენისთანები ვეყოფით თითო-ოროლა.

„რჩევა“

კ. ქიქინაძეს

ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს მხარი მხარს მივცეთ, ხელი ხელს, ნესტან დარეჯან ქაჯებს ყავს, მოელის ტურფა გამოხსნელს.

„ქალარა“

3. ინგოროყვას პასუხი კ. ქიქინაძეს

ამბობს: ფრიდონ და ავთანდილ ჯერ ვერ გადხდის ომსაო!.. და შენც ტარიელს მოჰგვებარ ისე, ვით კატა ლომსაო!..

„ქალარა“

დ. დემეტრაძეს

ყვენივით შემასკუპეს მალლობზე, ჩემ წინ დადგა თითქმის მთელი ქვეყანა; მილოცავენ და მადლს მხდიან... და რისთვის? რა მიმიძღვის სამსახური მისთანა?

„იუბილე“

შ. რადიანს

თქვენ რომ გგონიათ ის არ ვარ! სხვებს რომ გონიათ, არც ისა! შუა-კაცი ვარ უბრალო, ხან მიწისა ვარ, ხან ციხა.

„პოეტი“

6. მიწიშვილს

აქეთაც ვარ, იქითაც ვარ, მიყვარს შუა მე ტრიალი!.. მაგრამ არსად-კი არა ვარ: ჩემთვისა ვარ ნეიტრალი.

„ნეიტრალი“

3. იაშვილს

ქირში ხარს ვიტყვი საცრემლოს და ლხინში „მრავალ-ჟამიერს“: გარჩევა უნდა ავ-ქარგსა და დრო გულის თქმას წამიერს.

„პოეტის პროგრამა“

გ. ციცხლაძეს

საბუდარში ჩამჯდარიყო, კაცანობდა ქოჩოროო, მაგრამ კვერცხი არ დაედვა, ტყუილები მოკოროო.

„შაირები“


3. ქიქოძეს

ვის უნდა ვენდო? განა არ ვიცი თუ რას ფიქრობენ ჩემი სარდლები? თუ მნახეს ერთი წაფორხებული დამერევიან, როგორც რომ მგლები.

„ბაგრატ დიდი“

ამწყობი გუგული

ლიტგაზეთი



ერთი ღამე მებრძონი

1907 წელს გამოვიდა პირველი იუმორისტული გაზეთი „ხუმარა“ აკაკის რედაქტორ-გამომცემლობით. გაზეთი „ხუმარა“ პირველ ნომრის გამოსვლისთანავე დახურეს და მოხუცი რედაქტორი „დამცველთა“ რაზმის თანხლებით მებრძოლებს გაუყენეს. აკაკი მეორე დღესვე განათავისუფლეს. „აკაკი“—საიუბილეო სურათებიანი ალმანახი გამოც. 1. 1908 წ.

სამხრეთ ოსეთში

პროფესორ გ. კოკიევის ახალი მასალები მიერ აღმოჩენილი იქნა ახალი მასალები ოსეთის პოეტის კოსტა ხეთაგურის და მისი მამის ზესაზე. მასალები გადაეცემა მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტს.

სამხრეთ-ოსეთის მწერალ-მწერალთა მუზეუმი თავისი კავშირის დაკვეთით მხატვარი ტუგანოვი შეუდგა ოსეთის მწერალთა პორტრეტებზე მუშაობას. განზრახულია შემდეგი მწერლების პორტრეტები: თემირბოლო მამსუროვი კოსტა, ხეთაგუროვი, ელბ. ბრიტაგვი, ცომაყ გადიევი, არსენ კოცოევი. თანამედროვე საბჭოთა მწერლებიდან: ჩერმენ ბეგოზოვი, სიკო ყულაგვი, ხარტიონ პლიევი.

35 წელი შესრულდა ოსეთის პირველი პოეტის გარდაცვალებიდან. მამსუროვი დაიბადა 1843-წელს ჩრდილოეთ-ოსეთში სოფ. ჯხალში, სწავლობდა პე-

ტერბურგში სანხედრო სკოლაში. 1865—წელს მთიულეთში რომ მეფისაგან შესამდე გაიქცნენ ოსმალები, მამსუროვიც გაიქცა მათთან ერთად. ოსმალებში იგი ცხოვრობდა და განაგრძობდა შემოქმედებით მუშაობას. მის ლექსებში აღწერილია იმ პერიოდის სურათები, როდესაც მთიულეთი გარბოვნის და თავს აფარებდნენ ოსმალებს, ცხოვრების სიდუხჭირე, ხალხთა დარბევა და სხვა. მისი საუკეთესო ნაწარმოებია „ორი ამხანაგი. „აკენის სიმღერა“ და „ფიქრები“. მისი ხელნაწერების მეტი ნაწილი ამჟამათაც ინახება ოსმალებში.

სამხრეთ-ოსეთის მწერალთა გამოვიდა კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი „ფილიოზი“ № 9-10 გამოცემულია კარგად, დაახლ. 170 გვერდი, თასი 1 მ. 50 კაპ. ჟურნალში მოთავსებულია მასალები საკავშირო მწერალთა ყრილობის შედეგებზე. გარდა ორიგინალური მასალებისა ამ №-ში მოთავსებულია პანფილოვის პროზის ნიმუში და პ. ჩხიკვაძის „რომანტიული ამბავის“ თარგმანი.